



# სოციალური და ეკოლოგიური



*უქმობა*  
№26  
დეკემბერი

ჩანასახიდან ბავშვის უფლება აქვს იყოს დაცული

საქართველოს ვ. შორაპანის სახელობის სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდისა და თსუ ბ. შანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის გაზეთი 2009 წ.

ყველანი ერთად ახალი ქლიარკი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

## გილტყაუთ 2010 წელს!



№1  
27.06.2008  
20.12.2008  
23.12.2008  
01.06.2009

23.04.99 01.06.2000

„ბავშეთა კეება XXI საუკუნეში“ სიმპოზიუმი №1 №2

20.05.99 01.06.2000

„ორთოპედიული სკოლა“ სიმპოზიუმი №1 №2

17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003

„მუკოვისცილოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები“

01.06.2000-2001-2002-2003-2004 22.12.2007

„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია“

28.02.2001

„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში“

01.06.2001

„ბავშვი, მონარდი და ოჯახური ძალადობა“

სიმპოზიუმი №1

01.06.2001 30.05.2002 01.06.2003

„ჩანასახიდან ბავშვის უფლება აქვს იყოს დაცული“

სიმპოზიუმი №1 №2 №3

13.02.2002

„ადამიანის გენომის პროექტი“

10.03.2002

ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის“ პრეზენტაცია

5.11.2002 28.11.2002

სსოფნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. შვანია“

7.11.2002

„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები“

2.06.2008

საქართველოს მედღათა I კონგრესი

25.XII.98

I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა“

01.VI.99-9.IX.2005

I-II სამართაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - შვიდობიანი კავკასია“

25.XII.99

III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა“

XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

01.VI.2000 01.06.2001

IV-V კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვის უფლება აქვს იყოს დაცული“ მიძღვნილი

ბავშეთა საერთაშორისო დღისადმი

27.III.2001

შენმზრბა სახალხო დამცემლის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა“

30.05.2002

VI(XX) კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვის უფლება აქვს იყოს დაცული“

04.09.2002

შეხვედრა „გლობალური მარშის“ წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან

01.06.2001 06-07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005

VII-VIII-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის

აქტუალური საკითხები“

30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002

„ბავშეთა მკურნალობა XXI საუკუნეში“

სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9

4.04.2003

პედიატრიის აქტუალური საკითხები. IX კონფერენცია.

1.06.2003-1.06.2004

I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)

19.12.2003

საქართველოს ბავშეთა კარდიოლოგთა ასოციაციის II კონფერენცია

22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007;

2.06.2008; 20.12.2008; 1.06.2009

პედიატრიის აქტუალური საკითხები. XII-XIII-XV-XVII-XVIII-XIX-XX

საერთაშორისო კონფერენცია

31.05-1.06.2007 - 7.12.2007-2.06.2008

ბავშეთა კარდიოლოგთა III და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის

XVI კონფერენცია

## სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XXI კონფერენცია

„პედიატრიის აქტუალური საკითხები“

თბილისი 18.12.2009 TBILISI

THE SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FUND XX CONGRESSE

(თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მის. ვაჟა-ფშაველას №29)

აპროფესინიარების საქართველოს პროფესული სოცისის საბჭოს სხდომა

XXI კონფერენცია პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

# გადახული სიკეთე უფალთან მიღის



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ადამიანის ცხოვრება ეს არის გამოცდა, ეს არის განსაცდელი და იგი უნდა გავიაროთ ღირსეულად. ღვთისგან ამქვეყნად მოვლენილი ყოველი ადამიანი არის ხატება ღვთისა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მას თან სდევს ადამის და ევას მიერ ჩადენილი პირველქმნილი ცოდვა. ადამიანი უძლურია და მას სჭირდება დახმარება, მაღლი სულისა წმინდისა; სჭირდება ეკლესია, რადგან ეკლესია არის უძლიერესი სულიერი ძალა; ეკლესია არის სავანე, სადაც ადამიანი ღებულობს მაღლს სულისა წმინდისა, „უძლურთა მკურნალსა და ნაკლულევანთა აღმავსებელსა“. ჩვენი წინაპრები ასე ლოცავდნენ ერთმანეთს, – „იხარეთ ორსავე სოფელსა შინა“. ერთადერთი პირობა ამისი არის სიახლოვე უფალთან, მისი უზენაესი ნების აღსრულება, უნდა ვიჩქაროთ სიკეთის კეთება იმიტომ, რომ არავინ ვუწყით როდის მოვა ის საოცარი და საიდუმლო დღე, როცა ადამიანი უნდა წარსდგეს წინაშე უფლისა, ჩვენს მიერ გაღებული სიკეთე კი უფალთან მიღის.

ილია II

„ქართველი კაცი უპირველეს ყოვლისა, სულიერ საუნჯეზე ხურნავდა და არა მატერიალურზე. სწორედ სულიერი საუნჯეა ჩვენი ქართველობა, მართმადიდებლური სარწმუნოება, ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები, მტკიცე ქართული ოჯახი, ტრადიციული ქართული ურთიერთდამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის. შვილი არასდროს არაფერს არ აკეთებდა მშობლის ღოცვა-კურთხევის და ნებართვის გარეშე. „საქართველოში ყველა ცდილობდა ისე ეცხოვრა, რომ დაეცვა ის ათი მცნება, რომელიც უფალმა კაცობრიობას მისცა“. (13.11.2003)

„იგავი უძღვები შვილის შესახებ – ეს არის იგავი ოჯახურ ცხოვრებაზე და პრობლემა, რომელზეც საუბარია იმ იგავში, ყოფილა არის და იქნება ყველა ოჯახში. ეს არის პრობლემა ურთიერთობისა მამათა და შვილთა, თობათა ურთიერთობის პრობლემა, რომელიც ყოველთვის როული იყო და დღესაც მეტად გართულებულია. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრა არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ადამიანის ბედნიერებისა, ადამიანის მერვე ადამიანთან თანხმობისა, ერთსულოვნებისა. თუ ადამიანი თავის ოჯახის წევრთან ვერ მოახერხებს ერთობას, ერთად ცხოვრებას, ძნელია მისთვის სხვასთან იპოვოს საერთო ენა... შეგახსენებთ ამ იგავის შინაარსს: ერთ ოჯახში მამას ორი ძე ყავდა. უმცროსმა განიზრახა წასვლა მამისეული ოჯახიდან და დამოუკიდებლად ცხოვრება. ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია, - პიროვნება ფიქრობას დამოუკიდებლობაზე, თავისი პირადი ცხოვრების მოწყობაზე, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კარგია, როდესაც ამას ადამიანი მშობლის ღოცვა-კურთხევით აკეთებს, როდესაც მშობელი იწონებს მის განზრახვას, მის გაღწევტილებას“. (23.02.03)

ვისურვებდი, რომ თქვენს ოჯახს არ ისმოდეს ბილწსიტყვაობა, ერთმანეთისადმი ხმამაღალი და უხეში მიმართვა, არამედ სუფევდეს მშვიდობა და ერთსულოვნობა. ბავშვობაში არ მახსოვს, დედ-

## პატრიარქის პადაპაპები ოჯახის შესახებ

მამას ჩვენთვის, ბავსებისთვის დაევიროთ ან თუნდაც ხმა აემალღებინათ. ამ ფაქტმა ძალიან დიდი გავლენა იქონია ჩვენზე. გაიხსენეთ მცნება უფლისა: „პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“. აი, რაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება! ... „სამწუხაროდ დღეს გაძლიერებული აგრესია ადამიანებში. თითქმის აღარ არსებობს დამშვიდებული ოჯახი. ამასთან ურთიერთობა ოჯახის წევრებს შორისაც არ არის ჯანსაღი. როგორი უხეშობით, ვნებებით, უცნაურობით სიტყვებით საუბრობენ ისინი ერთმანეთში! ასე წლის წინ სულ სხვაგვარი იყო ქართველი კაცი“ (12.10.2004)

„ძველ დროს მშობლები ზრდიდნენ გმირებს, თავდადებულ ადამიანებს, რომლებიც იცავდნენ ჩვენს ქვეყანას. ახლა კი ყალბი „თავისუფლება“ შემოდის ქვეყანაში და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ეს ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა ადამიანს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, როცა არავითარი ზნეობრივი ფარგლები და კანონები მათთვის არ არსებობს – ეს არის დამწყვეტილი გზა. და მე მინდა ჩვენს ხალხში გამოიშვა შავდეს ისეთი იმუნტეტი, ისეთი სულიერი ძალა, როცა ადამიანი გაარჩევს რა არის თეთრი და რა არის შავი, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. ხშირად ბოროტება ინიღბება, სიკეთის ნიღაბს ირგებს. ხშირად ახალგაზრდობას ეუბნებიან, რომ მთავარი მათთვის „თავისუფლება“ და ჭეშმარიტი თავისუფლების ნაცვლად ზნედაცემულობას სთავაზობენ. ჭეშმარიტი თავისუფლება ჩვენ უფალმა მოგვანიჭა; მაგრამ მოგვანიჭა იმისთვის, რომ თვითო ადამინმა გააკეთოს არჩევანი და დინახოს, სად არის თეთრი და სად შავი“.

„ძალიან გულსატკეპია, როცა ქართველი კაცი მათხოვრობს. მე მესმის, რომ მეტი

გზა არ აქვს, მაგრამ როცა მთელი ოჯახი თხოვლობს და უკვე აღარ რცხვენია, უკვე არ ერიდება არც ნათესავის, არც ნაცნობის, არც უცნობის ეს საშინელებაა. უფრო მეტიც შვილებს ასწავლიან, როგორ უნდა იმათხოვრონ. უფროს თაობას ალაბათ გახსოვთ ომის პერიოდი, როგორი გაჭირვება იყო, მაგრამ მაშინ ქართველ მათხოვარს ვერ ნახავდით. რუსეთიდან ჩამოდოდნენ საქართველოში და მათხოვრობდნენ, ქართველი კაცი კი როგორღაც ახერხებდა შრომით თავის გატანას: ზოგს ძროხა ჰყავდა, ან ქათამები, ან ბოსტან უყვლიდა. საქართველო მისეთი ქვეყანაა, შეიძლება, ადამიანმა საკუთარი შრომით თავი გაიტანოს. სიღარიბეს და მათხოვრობას არაფრით შეეჩვიოთ. აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ – სულიერდაც და ფიზიკურდაც“ (17.11.2002)

„როგორი რთული მექანიზმია ოჯახი. მართლაც მთელი სახელმწიფოა . . . დღეს ხშირად საუბრობენ, რომ ცოლქმარი თანასწორია. სახარებაში პაველ მოციქული ამბობს, რომ ოჯახის თავი არის მამაკაცი. ეს წესია. ჰო, და დარღვეულია ეს იერარქია, რომელიც ღვთისგან არის დაწესებული. და ამიტომაცაა წინააღმდეგობა ცოლსა და ქმარს შორის, შვილებსა და მშობლებს შორის“ (10.11.2002)

„ებრაელებისთვის უშვილობა იყო ყველაზე დიდი უბედურება. იმიტომ, რომ ეს იყო პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ ღმერთი ოჯახს არ სწყალობს. სიტყვა „ებრაელი“ უფლის ხალხს ნიშნავს. უფალს თავისი ერი უნდა გაემრავლებინა და თუკი ეს არ ხდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ოჯახი ძალიან მძიმე ცოდვას იყო. ძაქარბამ და ელისაბედმა არ იცოდნენ, რა დანაშაული ჰქონდათ უფლის წინაშე, მაგრამ საზოგადოება მათ და მათ ოჯახებს ძალიან მძიმედ ეპყრობოდა. ისინი მრავალი ათეული წლის მაძილე იმყოფებოდნენ ამ განსაცდელში, მაგრამ საოცარი სიმშვიდით, უფ-

ლისადმი მორჩილებითა და თავმდაბლობით ყველაფერს იტანდნენ. ეს ასევე ჩვენთვის არის გაკვეთილი და მოგვიწოდებს, თუკი უფალი განსაცდელს მოგვივლენს, იგი აუცილებლად უნდა მივიღოთ მშვიდად, თუნდაც არ გვესმოდეს, რატომ შეგვემთხვა ასეთი ამბავი“. (28.07.2008)

„როგორ განსხვავდებიან ადამიანები? რსებობენ ისეთები რომლებიც იკეტებიან საკუთარ ნაჭუჭში, საკუთარ ეგოიზმში და იმდენად ჩაკეტილია მისი გული და გონება, მთელი მისი სულიერი სამყარო, რომ მის გულში ოჯახის წევრებიც კი ვერ ეტევიან, ანუ ასეთ ადამიანს საკუთარი ოჯახის წევრებიც კი არ უყვარს. თითქოს უყვარს თავის ტავი, მაგრამ სინამდვილეში მას სიუფლს საკუთარი თავი ინიტომ, რომ სიყვარული არ გააჩნია. მაგრამ არსებობენ სხვა ადამიანებიც, ღვთივ სათნო ადამიანები, რომელთა გულშიც ეტევიან არა მარტო ოჯახის წევრები, არამედ ეტევა მთელი მსოფლიო. ასეთ ადამიანებს განსაკუთრებით უყვართ ცოდვილი და გაჭირვებული ადამიანები. ჩოღვა უნდა სძულდეს ადამიანს, ხოლო ცოდვილი ადამიანი უნდა ებრალებოდეს, უყვარდეს და ეხმარებოდეს მას. სწორედ ამისთვის არის მოწოდებული ყოველი ადამიანი, ვომ შევიყვაროთ ერთმანეთი“ (16.07.02)

„თანამედროვე ოჯახი სამწუხაროდ დღეს ვეღარ ართმევს თავს ბავშვის აღზრდას, რადგან ან თავად მშობლებს აკლიათ აღზრდა, ანდა სამსახურში ისე დაკავებულია, რომ ბავშვებთან ყოფნას ვეღარ ახერხებენ. ჩვენს ბავშვებს, ფაქტობრივად, ზრდის ქუჩა, რაც ყოველად დაუშვებელია. ვფიქრობ სკოლამ ჩვენი ბავშვები მაქსიმალურად უნდა დაასაქმოს. იმაქნია, რომ ამისათვის სკოლებში უნდა შეიქმნას ფერწერის, ხატვების, ქვაზე და ხეზე კვეთის და სხვა სახელოსნოები“. (11.01.2000)

„მე მსმენია ერთი ოჯახის

შესახებ, როცა ისინი მინდორში სამუშაოდ გავიდოდნენ, პურის მეტი თან არაფერი მიჰქონდათ, რადგან ძალიან დარიბები იყვნენ; თურმე ბროლის ქვეშ აიღებდნენ ხოლმე, და პურთან ერთად დადებდნენ, რათა მეზობლებს ჰქონებოდათ, პურთან ერთად ყველიც მიჰქონდათ. მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ისინი მაინც კმაყოფილები იყვნენ და მათ ოჯახში სიხარული სუფევდა. ჩვენ პური და ყველი კი არ გვაკლია, სიყვარული აღარ გვაქვს, რამეთუ სიხარული სიყვარულიდან მოდის, ხოლო ჩვენ სიყვარული დაგვარგეთ. ვისაც ნამდვილი სიყვარული აქვს, მასთან სიხარულიცაა, რადგან სიხარული თან სდევს სიყვარულს. თქვენ იცით, რომ სიყვარულის წყარო და საწყისი არის უფალი, როგორც ამის შესახებ წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, - „ღმერთი სიყვარული არს“. აი, ამიტომ ჩვენ დღეს განსაკუთრებით უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენს ხალხში ჭეშმარიტი მართმადიდებლური სარწმუნოება განმტკიცდეს, რათა ქართველი კაცი არ იყოს მოღალატე სარწმუნოების, სამშობლოსი. დღეს ქართველები პურის გამო ტოვებენ სამშობლოს, მიდიან უცხოეთში და იქ იკარგებიან, ზოგი ნარკომანი ხდება, ზოგი ლოთობს, ზოგიც ქურდობს და ციხეში ხვდება. უცხოეთის ციხეები სავსეა ქართველებით, რა ეშვება მათ? ან რატომ მიდიან ქართველები ასე მასიურად საზღვარგარეთ? იმიტომ რომ ამ ადამიანებს ოჯახიდან შესაფერისი აღზრდა არ მიუღიათ. ახსენდება დედანემის დარეგება, როცა ჩვენ ჯერ კიდევ პატარები ვიყავით. საბჭოთა კავშირის არ არსებობის დროს წარმოუდგენელი იყო, რომ დადგებოდა პერიოდი, როცა ადამიანი უცხოეთში წავიდოდა. დედა თითქოს ხედავდა დღევანდელ დღეს და სე გვარბებდა შვილებს: რაც უნდა გაიჭირდეთ, არსად-როს დატოვოთ თქვენი სამშობლო და ზიდათ ტვირთი, რაც უფალმა ჩვენს ერს დააკისრა“. (13.06.2002)

მომზადდა მარიამ შამუგაშვილი „სამანი“ №2

# სოციალური პედიატრიის დაცვის XXI ფონდის კონფერენცია

ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით  
SOCIAL PEDIATRICS AND CHILD HEALTH  
სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა  
SOCIAL PEDIATRICS AND SHILD HEALTH



სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XXI კონფერენცია ჩატარდა 2009 წლის 1 ივნისს (12.00 – 14.00 საათი) თსსუ-ის №3 კორუსი ვაჟაფშაველას ქ. 29 ამავე დარბაზში ჩატარდა ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა.  
კონფერენცია გახსნა პროფ. გ. ჩახუნაშვილმა მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. დ. ჭავჭავანიძე, პროფ. დ. კერვალიშვილი, პროფ. ზ. ვადაჭკორია, ლ. კიკნაძე და სხვა.

**I პლენარული სხდომა**  
საქართველოს ევრომეცნიერების საქართველოს სექციის სამედიცინო დეპარტამენტის სამოქმედო სტრატეგია – სექციის თავმჯდომარე გ.ჩახუნაშვილი; საქართველოს პედიატრთა აკადემია დ. ფრუიძე.

**II პლენარული სხდომა**  
თავმჯდომარეები ი. ციციშვილი, გ.ჩახუნაშვილი, ა. კვე-

ზერელი-კობაძე, ქ.ნემსაძე, ყ.ფალავა. რ. კუტუბიძე, ი.დოლიძე კ.ჩახუნაშვილი. კურატორები: დ.ტაბუცაძე, ნ. თოფურიძე, ნ.ბადრიაშვილი, ნ.ჯობავა, ი.კორინთელი, ნ.მარინაშვილი.

**ლექციები და მოხსენებები**  
1. ბავშვთა და მოზარდთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემური საკითხები  
გ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა  
2. პრობოტიკებსა და პრე-ბიოტიკების როლი მეძუძურ დედებში, ახალშობილებსა და წლამდე ასაკის ბავშვთა კვებაში  
მ. ნანობაშვილი  
3. Neonatal hypoglycemia  
Ragunatan Setloor Vasudevan  
~India KULITHALAI~  
4. Saence and practic in Ukrainian children'c cardiac center  
M.D. PH.D jllga M. Yemets  
~JKRAINA, KYIV

5. ლექტინები და მისი მობავალი თანამედროვე მედიცინაში  
ელ. ბაირამოვი, გ. ჩახუნაშვილი.  
6. მწვავე რესპირაციული ინფექციების მკურნალობის აქტუალური საკითხები  
მ. ხერხეულიძე.  
7. ნუტრიციული პრობლემები და მათი კორექცია კისტოფიბროზის დროს  
ნ. ბადრიაშვილი, მ. მოისნრაფიშვილი, დ. ჩახუნაშვილი, ნ. თოფურიძე, ნ. შარიქაძე, მ. გიორგობიანი.  
8. ცხელება ლოკალური სიმპტომატიკის გარეშე  
ნ. უბერი, ე. უბერი.  
9. მიელოიდური ლეიკემი-

ების მკურნალობის გაიდლაინები  
ზ. შაქარაშვილი  
10. ინფექციათა როლი სიმსივნურ დაავადებებში  
მ. ბუნაშვილი, გ. კამკამიძე  
11. იშვიათი დაავადებები ბავშვებსა და მოზარდებში  
ი. კორინთელი, მ. კორინთელი  
12. წყლულოვან-ნეკროზული ენტეროკოლიტის მკურნალობის საკითხისათვის.  
მ. გიორგობიანი  
13. დღენაკულ ბავშვთა ანემიები და მათი მართვის თანამედროვე მეთოდები.  
ა. კვეზერელი – კობაძე, მ. კვეზერელი – კობაძე, ზ. მთვარელიძე  
14. ალფა ნორმიქსი – სელექციური ფართო სპექტრის ნაწლავური ანტიბიოტიკის გამოყენება პედიატრიაში.  
ნ. უბერი.

**ლონისკიებათა საორგანიზაციო კომიტეტი**  
1. Georgian National Section of EVROSCINCE;  
2. საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო

ერების ინტერკონტინენტალური აკადემია (IAMSS);  
9. საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია;  
10. საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია;  
11. საქართველოს ექიმთა ასოციაცია;  
12. საქართველოს პედიატრთა ასოციაცია;  
13. თსსუ სტუდენტური თვითმმართველობა;  
14. თსსუ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო;



პროფილაქტიკური ცენტრი.  
23. საქართველოს სამედიცინო სპეციალისტების ასოციაცია.  
24. საქართველოს პედიატრთა აკადემია.

**III პლენარული სხდომა**  
მიღებულ იქნა კონფერენციის რეზოლუცია

**კონფერენციის თანამდგომანი:**  
საქართველოს საპატრიარქო;  
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს პარლამენტის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი;  
თბილისის მერიის შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და განათლების სამსახური;  
საქართველოს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;  
კავშირი „სპორტი ჯანმრთელობისთვის, სპორტი დოპინგის გარეშე“;  
შპს GIC, შპს „ივერიული“.



მეცნიერებ ათა აკადემია;  
3. Internatonal Fund the world security and child;  
4. სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი;  
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;  
6. თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა;  
7. გესტოზების შვილობილი სამედიცინო დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OGASH);  
8. სამედიცინო-სოციალური მეცნიერების მეცნი-





### სამედიცინო განათლების რეფორმა საქართველოში

ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის დაფინანსებით, სამედიცინო განათლების რეფორმის პრეზენტაცია გაიმართა.

კონფერენცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიციანიძემ გახსნა.

“დღეს ჩვენ სამედიცინო განათლების რეფორმის ახალ კონცეფციას წარვადგენთ. მადლობას მოვასხენებ ყველას, ვინც ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებს. დღეს ახალი ტიპის საგანმანათლებლო სისტემაზე ვისაუბრებთ და განვიხილავთ ამ თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

მას შემდეგ, რაც პროექტი დაიხვეწება სამედიცინო განათლების კანონის შეცვლის თაობაზე ინიციატივას უკვე პარლამენტში წარვადგენთ. ვფიქრობ ეს დღე ძალიან ნაყოფიერი და პროდუქტიული იქნება ჩვენთვის.” - აღნიშნა ალექსანდრე კვიციანიძემ.

ჯანდაცვის სამინისტრომ შემუშავა საქართველოში სამედიცინო განათლების რეფორმის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის სრულყოფას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ საქარ-



თველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი წერეთელი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი პერ ეკულდენი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ფრუიძე და სხვა საპატიო სტუმრები.

2009 წლის 6 ნოემბერს ქობულისში სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ინიციატივით და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ევროკავშირის “პირველადი

### საექიმო სპეციალობებში სარეზიდენტო პროგრამების დირექტორები

№	საექიმო სპეციალობა	პროგრამის დირექტორის სახელი გვარი, დაკავებული თანამდებობა
1.	ზოგადი ქირურგია	ნოდარ ლომიძე, სრული პროფესორი
2.	შინაგანი მედიცინა	გიორგი ქავთარაძე, სრული პროფესორი
3.	მეანობა-გინეკოლოგია	ნიკოლოზ კინტრაია, სრული პროფესორი
4.	საოჯახო მედიცინა	გივი ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი
5.	პედიატრია	ირაკლი ფაველიანი, სრული პროფესორი
6.	ანესთეზიოლოგია/რეანიმაციოლოგია	ნოდარ ლებანიძე, მ.მ.დ., პროფესორი
7.	ინფექციური სნეულებანი	ელზა ვაშაიძე, სრული პროფესორი
8.	ლაბორატორიული მედიცინა	თინათინ ბუკია, სრული პროფესორი
9.	ფსიქიატრია	თეიმურაზ სილაგაძე, სრული პროფესორი
10.	ნევროლოგია	რომან შაქარიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
11.	ნეიროქირურგია	გიორგი ინგოროყვა, სრული პროფესორი
12.	ორთოპედია -ტრავმატოლოგია	თორნიკე ნოზაძე, სრული პროფესორი
13.	ოფთალმოლოგია	მერაბ დვალაძე, სრული პროფესორი
14.	ოტორინოლარინგოლოგია	შოთა ჯავახიშვილი, სრული პროფესორი
15.	პათანატომია კლინიკური პათოლოგია	რამაზ ჩიხლაძე, სრული პროფესორი
16.	სამედიცინო რადიოლოგია	ფრიდონ თოდუა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი
17.	ურთოლოგია	დავით ქოჩიაშვილი, სრული პროფესორი
18.	სტომატოლოგია	მანანა ივერიელი, სრული პროფესორი
19.	სასამართლო მედიცინა	ბესარიონ კოლასონია, სრული პროფესორი
20.	ონკოლოგია (ზოგადი)	რევაზ გაგუა, მ.მ.დ., პროფესორი, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი
21.	კარდიოქირურგია	ზვიად ბახუტაშვილი, მ.მ.დ., პროფესორი

### მომიჯნავე საექიმო სპეციალობებში სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელები/პროგრამის დირექტორები

№	საექიმო სპეციალობა	პროგრამის ხელმძღვანელების სახელი გვარი, დაკავებული თანამდებობა
1.	ალერგოლოგია/იმუნოლოგია	ალექსანდრე თელია, სრული პროფესორი
2.	ანგიოლოგია სისხლძარღვთა ქირურგია	კოტე ყიფიანი, სრული პროფესორი
3.	გასტროენტეროლოგია	მანანა ჯგერაშვილი, მ.მ.დ., თერაპიის ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
4.	დერმატოვენეროლოგია	ალექსანდრე კაციტაძე, სრული პროფესორი
5.	ენდოკრინოლოგია	დავით მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი
6.	კარდიოლოგია	ირაკლი მეტრეველი, სრული პროფესორი
7.	ფტიზიატრია, პულმონოლოგია, ბავშვთა ფტიზიატრია	ლამარა ვაშაიძე, სრული პროფესორი
8.	სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტის მედიცინა	მანანა რუხაძე, ასოცირებული პროფესორი
9.	ნევროლოგია	ირმა ჭოხონელიძე, ასისტენტ პროფესორი
10.	რევმატოლოგია	ელენე ქართველიშვილი, სრული პროფესორი
11.	ფიზიკური მედიცინა და კურორტოლოგია	ნელი კაკულია, სრული პროფესორი
12.	ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია	მამია ზოდუაძე, სრული პროფესორი
13.	კლინიკური ტოქსიკოლოგია	ნინო ლომიანიძე, ასოცირებული პროფესორი
14.	ნარკოლოგია	აკაკი გამყრელიძე, სრული პროფესორი
15.	კრიტიკული მედიცინა	ზურაბ ხელაძე, სრული პროფესორი
16.	ბავშვთა ალერგოლოგია/იმუნოლოგია	მაია გოთუა, მ.მ.დ., მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი
17.	ბავშვთა ენდოკრინოლოგია	მარინე გორდელაძე, ასისტენტ პროფესორი
18.	ბავშვთა გასტროენტეროლოგია	ციცი ფარულაძე, მ.მ.დ.
19.	ბავშვთა ინფექციური სნეულებები	მ.შ. თამარ ჯოხთაბერიძე, ასისტ. პროფესორი
20.	ბავშვთა კარდიოლოგია/რევმატოლოგია	გიორგი ჩახუნაშვილი, მ.მ.დ., პროფესორი
21.	ბავშვთა ნევროლოგია	ნანა გელაძე, სრული პროფესორი
22.	ბავშვთა ნეფროლოგია	გურამ ჩიტაია, მ.მ.დ.
23.	ნეონატოლოგია	თამარ გოთუა, ასოცირებული პროფესორი
24.	პლასტიკური ქირურგია	ივანე კუზანოვი, სრული პროფესორი
25.	ბავშვთა ქირურგია	რამაზ კუტუბიძე, სრული პროფესორი
26.	პროქტოლოგია	თეიმურაზ აბულაძე, სრული პროფესორი

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მერი გელოვანის დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 60 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია

1924-2008  
თბილისი 2009 წელი

# მოხალისე აბორტის გარეშე



**ტერიტორიული მთლიანობისა და სოციალური პრობლემების შემდეგ, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სირთულეა დემოგრაფიული პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ისევ იწყო შობადობა მატება, ეს მაინც არ არის საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად. ამას ხელს უშლის ხელოფენური აბორტი!**

აბორტი საქართველოში ტაბუადღებულ თემებში შედის და მისი, როგორც პრობლემის, აქტუალობა ნოღს უტოლდება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად დღემდე რეალური ქმედება არ ყოფილა. მის განხილვას რამოდენიმეჯერ დაეთმო "თოქშოუების" ეთერი, მაგრამ აბორტის შესახებ ინფორმაცია და თანმდევი პრობლემები მაინც ბუნდოფნი რჩება ფართო საზოგადოებისთვის; განსაკუთრებით, მოზარდებისთვის, რომელთაც წარმოდგენაც კი არ აქვთ აბორტების საშინელი შედეგების შესახებ.

აბორტი, ზოგადად, დამანგრეველია ქალის ორგანიზმისთვის, თუქვა პირველი ფეხმძიმობის ხელოფენურ მოშლას მოჰყვება ისეთი გამანადგურებელი მოფლენები, როგორიცაა: უშვილობა (უმრავლეს შემთხვევაში), საშვილოსნოსგარე ორსულობები (შეიძლება დედისთვისაც სასიკვდილო გამოდგეს), უძძიმესი ფსიქიკური მდგომარეობა (პოსტ-აბორტული სინდრომი გაცილებით მძიმეა პირველ ორსულობა მოშლილ ქალებში).

სტატისტიკური მონაცემებით, კობოთი დაავადების ალბათობა 18 წლის ასაკამდე აბორტგაკეტებულ ქალებში 8-ჯერ იზრდება. საშვილოსნოსა და მკერდის გახშირებული სიმსიფენების მიზეზი, სწორედაც რომ, აბორტია!

ცოტა ადამიანმა თუ იცის რას უკაფშირდება აბორტი ან ვის ანადგურებს ის, ნაყოფს თუ მშობელს. ადვილია მიიღო გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც არ გეხმის, რომ ყოველი აბორტი აჩერებს ბავშვს გულისცემას და ეწინააღმდეგება ადამიანურ ცხოვრებას.

ზუსტად, ამ მიზეზების გამო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს, ვიმოქმედოთ პრობლემის დასაძლევად და, იმედია, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ბიძგი, რომელიც გამოაფხიზლებს ხალხს და სხვადასხვა პროფესიის, ეთნოსის, აღმსარებლობის ადამიანებით გაიფსება აბორტის მოწინააღმდეგეთა რეგები.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მიაწოდოს მოზარდებს (14-19 წლებში) ინფორმაცია ხელოფენური მუცლის მოშლის და მთელი რიგი გართულებების შესახებ. იმ საფრთხეზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანს შეიძლება დაემუქროს. ჩვენ მოზარდებში უნდა გავავლივოთ პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს გული-სხმობს, რომ ყოველმა ახალგაზრდამ უნდა გაიზაროს სქესობრივი კავშირის არ-სი, რომელიც სამყაროზე ახალი სიცოცხლის მოფლენას გულისხმობს. ასევე ჩვენი მიზანია, რომ მშობლებსა და ბავშვებს შორის ჩატეხილი ხიდი ადღვეს. თუ მშობელი შეიძლეთან მეგობრულად იქნება, შეიძლია არასასურველი ორსულობისას, პირველ რიგში, მას გადაუშლის გულს და დახმარებას სთხოვს, რაც ასევე, ჩვენი აზრით, რამოდენიმე ათეულ ან ასეულ აბორტს აგვაცილებს თავიდან, გადავარჩენთ ამ ბავშვთა დაუცველ სიცოცხლეს, რომელიც ჩვენზეა მონდობილი!

აბორტი - სიმართლის პრობლემაა, რომელსაც ხალხში მაშტაბური სახე აქვს. დავარქვათ მუცლადმყოფ ბავშვს არაადამიანი, ანუ ქსოვილების გროვა, არადირსეული საქციელია და ეს იგივეა, რომ გავიმეოროთ ისტორიის შეცდომა.

ხელოფენური აბორტი ეს ადამიანური არსების სიცოცხლის ხელყოფაა, ეი. მკვლელობაა, და როგორ შეიძლება ვისაუბროთ "მკვლელობის უფლებების" შესახებ?! უფლება - ვაკონტროლოთ ვინმეს სხეული არ უნდა იყოს თავისუფალი არ-ჩვევანი. კანონს არ შეუძლია მოგვცეს იმის უფლება, რაც მორალურად არასწორია.

ჩვენი, სტუდენტების, კიდე ერთი მიზანია, კანონმდებლობის ან ფსიქოლოგიურ დონეზე, მაინც, აკრძალოთ პირველი ორსულობის აბორტი, და მოზარდებს 18 წლამდე დასჭირდეთ მშობლის ნებართვა აბორტის გასაკეთებლად. საზგასამელია, რომ პირველი ფეხმძიმობის ხელოფენური მოშლა მოზარდებში უფრო ხშირად იწენს თავს, რაც ქმნის საშიშროებას, რომ მომავალი თაობების სუსტი სქესის წარმომადგენლების რაღაც ნაწილი უშვილო იყოს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოში ათეული წლებია არსებობს მოძრაობა ("ზანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"), რომელსაც ჩვენ

გუერთლებთ და ვვიქრობთ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში, "ბავშვისა და დედის უფლება სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე" კანონში გამოიყოს და მძლავრად შემუშავდეს კანონი მუცლადყოფნის პერიოდზე ამასთანავე, უნდა მოიძებნოს სხვადასხვა სახელმწიფოში სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც შემოგვიერთდებიან და მხარში დაგვიდგებიან, გაგვიხიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

დიდი იმედი გვაქვს იმის, რომ თქვენ გვერდში დაგვიდგებით და მივალწევთ სასურველ შედეგს! შეგახსენებთ, ადამიანები, რომლებიც იბრძვიან აბორტის წინააღმდეგ, ეს ის ხალხია, ვინც იცავს ადამიანს ელემენტალურ ადამიანურ უფლებებს - სიცოცხლის უფლებას! ჩვენ ვიცავთ სიცოცხლეს, თქვენ?!

2008 წელს ოფიციალურად აღირიცხა 22062 აბორტი, 2.1% პირველი ორსულობის მოშლა. 6 გააკეთდა 15 წლამდე, ხოლო 1359 15-19 წლის ასაკის ქალებში.  
შობადობა 56025.

სტატია მოამზადეს თსუ I კურსის სტუდენტები მ. არჩვაძემ და კ. ჩახუნავაძემ

## აბორტები და კონტრაცეპტივების გამოყენება, საქართველო, 1991-2008

წელი	ცოცხალ-შობილები	აბორტი	აქედან მინ-აბორტი	1000 ცოცხალ-შობილზე აბორტი	საშვილოსნოს-შიდა საშუალებები	კონტრაცეპტივები
1991	89091	59384	9772	717.7	15790	7732
1992	72631	50748	10256	730.8	9588	5419
1993	61594	45131	8391	789.4	8379	3468
1994	57311	45858	10295	857.9	9127	3983
1995	56341	39538	7522	715.2	9538	5181
1996	53300	30003	5867	554.1	10817	3699
1997	52851	23403	5541	447.6	8171	4869
1998	49588	21018	6806	423.8	9148	6276
1999	46827	18306	6549	390.9	11539	9142
2000	46765	14951	5414	319.7	9120	7865
2001	46006	15008	5330	326.2	9032	8755
2002	45033	13908	5143	308.8	8252	8143
2003	44093	13834	5183	313.7	9084	9340
2004	46373	17210	6552	371.1	9047	10996
2005	47022	19734	6710	419.7	9643	10783
2006	47856	21204	7478	443.1	7581	10742
2007	49476	20644	7583	417.3	7548	9541
2008	56025	22062	7662	393	6554	12171



2009 შეიქმნა „თბილისის ღარბაზი“ გაზეთის რედაქცია უსურვებს ღარბაზს ნაყოფიერ მუშაობას



სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაენია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს.



საქველმოქმედო აქცია მარნეულში 19.II.2005 ♡ – 10.V.2008 ♡



საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005♡



2006 წლის 20 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლის ქალბატონ ოლიგო ბეჟუაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის ლეკა დლოიძის ხელშეწყობით თსსუ გ. უვანიას პედიატრიულ კლინიკაში გაისინჯა და შესაბამისი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარდა საგურამოს ასობით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ. უვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ლია კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.



2006 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის მიერ ცხინვალის რეგიონში ორგანიზებულ აქციაში თსსუ გ. უვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ეპიშემის მიერ (კლინიკის დირექტორი დოც. დ. ფრუიკა, პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. გ. ჩახუნავილი, ეპიშემი: მ. იოსელიანი, თ. მიქაელაძე, ვ. მაღაშინა, მ. ნაწობაშვილი, ზ. ზარნაძე, ქ. ნაწობაძე, გ. არველაძე) გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაენია 500-მდე ბავშვს. 2006-2007 წლებში თსსუ გ. უვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში სხვადასხვა საქველმოქმედო აქციაში გაისინჯა 2000-მდე ბავშვი.



საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007



საქველმოქმედო აქცია რუსთავსა და სამტრედიასში



საქველმოქმედო აქციები მარნეულებში, დუშეთში და ახაშენში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.







დიდი მადლობა ფონდ "SOCO"-ს და მის დამფუძნებელს სანდრა ელისაბედ რულოვს

ამა წლის 11 დეკემბერს გუგანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკას და ქალაქის I საავადმყოფოს პედიატრიულ განყოფილებას ფონდმა "SOCO"-მ უსასყიდლოდ გადასცა კომპანია "NESTLE"-ს ბავშვთა კვების პროდუქტები ბენეფიციანტებზე დასარიგებლად. კიდევ ერთხელ დიდ მადლობა ამ პუმანიტარული აქციისთვის.

რედაქცია







# რა არის პანდემიური გრიპი (H1N1) 2009?

პანდემიური გრიპი (H1N1) 2009-ს გამომწვევი გრიპის ვირუსია, რომელიც იწვევს ადამიანთა დაავადებას გრიპით. პანდემიური გრიპის (H1N1) ვირუსი პირველად დაფიქსირდა აშშ-ში, 2009 წლის აპრილში. ამჟამად შემთხვევები რეგისტრირებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. (H1N1) პანდემიური გრიპის ვირუსი ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა, ისევე, როგორც სეზონური გრიპის ვირუსისა.

## რატომ უწოდებენ (H1N1)-ს ზოგჯერ ღორის გრიპს?

ახლად გამოვლენილ გრიპის ვირუსს თავიდან უწოდებდნენ ე.წ. „ღორის გრიპს“, რადგან ლაბორატორიულმა ტესტირებამ აჩვენა ამ ვირუსის გენეტიკური შემადგენლობის მსგავსება იმ გრიპის ვირუსისადმი, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილო ამერიკაში ღორებში ცირკულირებს. შემდგომი კვლევებით დადგინდა, რომ ეს ვირუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილო ამერიკაში ღორებში ჩვეულებრივ მოცირკულირე ვირუსისგან. (H1N1) პანდემიური გრიპის ვირუსის 2 გენი არის იმ გრიპის ვირუსებიდან, რომელიც ცირკულირებს ღორებში ევროპასა და აზიაში, ხოლო დანარჩენი ფრინველებსა და ადამიანში მოცირკულირე გრიპის ვირუსის გენებია. მეცნიერები ამ ვირუსს „ოთხმაგი რეასორტაციის“ ვირუსს უწოდებენ.

## არაა თუ არა ღორები ამ ვირუსის მტარებელი და შეიძლება თუ არა მათგან გადაგვედოს ეს დაავადება?

არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ამჟამად ღორები არიან ინფიცირებული ამ ვირუსით, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ ეს არის გრიპის ის ვირუსი, რომელსაც ჩვეულებრივ შეუძლია გრიპის გამომწვევა ღორებში. ჩვეულებრივ პირობებში ამ ვირუსით ადამიანთა დაინფიცირება არ ხდება, თუმცა გრიპის ვირუსი შეიძლება გადაეცეს როგორც ღორიდან ადამიანს, ასევე ადამიანიდან ღორს.

## არის თუ არა პანდემიური გრიპი (H1N1) 2009 ვირუსი გადამდები?

დიახ, პანდემიური გრიპის (H1N1) 2009 ვირუსი გადამდებია და ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე.

## (H1N1)-ის სიმპტომები ადამიანებში

პანდემიური გრიპის (H1N1) 2009 ვირუსის სიმპტომები მსგავსია ჩვეულებრივი ადამიანის გრიპის სიმპტომებისა და მოიცავს შემდეგს: ცხელება, ხველა, ყელის, კუნთებისა და სახსრების, თავის ტკივილი, შემცივნება, საერთო სისუსტე, ზოგჯერ დიარეა და პირღებინება. ისევე, როგორც სეზონური გრიპისა, დაავადებას ხანდახან ახასიათებს მძიმე მიმდინარეობა და გარდაცვალება. ამჟამად წარმოებს ლაბორატორიული კვლევები, რათა დადგინდეს, აქვს თუ არა მოსახლეობის რომელიმე ჯგუფს ბუნებრივი იმუნიტეტი ამ ვირუსისადმი.

## როგორ ვრცელდება გრიპი პანდემიური გრიპი (H1N1) 2009?

პანდემიური გრიპის (H1N1) 2009 ვირუსი ვრცელდება ისევე, როგორც სეზონური გრიპის ვირუსი. დაავადებული ადამიანის ხველის ან ცემინების დროს დაინფიცირებული წვეთები ხვდება მათ ხელებზე, აგრეთვე სხვადასხვა ზედაპირებზე ან დისპერსირდება ჰაერში 1 მეტრის მანძილზე. ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს კონტაქტირებული ჰაერიდან, ან დაინფიცირებულ ხელებთან, ზედაპირებთან შეხებისას, თუ იმა-

ვე დაუბანელი ხელით შეეხება საკუთარ თვალებს ან ცხვირ-პირს.

## შეიძლება თუ არა ადამიანი დაინფიცირდეს ღორის ხორცის დამუშავების ან საკვებად გამოყენების დროს?

არა. ვირუსის გადაცემა ამ გზით არ ხდება. თქვენ ვერ დაინფიცირდებით ამ გზით. სათანადოდ დამუშავებული ღორის ხორცი და მისი პროდუქტები აბსოლუტურად უსაფრთხოა.

## არის თუ არა საშიში სასმელი წყალი?

ონკანის წყალი, რომელიც სათანადოდ დამუშავებას გადის, არ განიხილება, როგორც ამ დაავადების გადამტანი. ადამიანის დაავადება დაბინძურებული წყლის გამოყენების გამო არაა ცნობილი.

## შეიძლება თუ არა დაავადების გავრცელება სარეკრეაციო წყლებით, აკვა პარკებით, შადრევნებით, საცურაო აუზებით და სხვ.

არა. წყალი, რომელიც გადის სათანადოდ დამუშავებას, არ განიხილება როგორც დაავადების გავრცელების რისკის შემცველი.

## როგორ დავიცვათ გრიპისგან თავი?

### დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გატარდეს გრიპის პრევენციის ზოგადი ღონისძიებები:

მოერიდეთ კონტაქტს იმ ადამიანებთან, რომლებიც თავს შეუძლოდ გრძნობენ, აღენიშნებათ ცხელება და ხველა; ეცადეთ არ შეეხეთ იმ ზედაპირებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული გრიპის ვირუსით. მოერიდეთ დაავადებულებთან კონტაქტს; ხშირად და საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით; ეცადეთ იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ეცადეთ იყოთ კარგ ფიზიკურ ფორმაში. კარგად გამოიძინეთ, იყავით ფიზიკურად აქტიური. თავი აარიდეთ სტრესებს, მიიღეთ საკმარისი რაოდენობით სითხე და სასარგებლო საკვები.

## არსებობს თუ არა პანდემიური გრიპი (H1N1) 2009 ვირუსით გამოწვეული ინფექციის სამკურნალო საშუალებები?

მძიმე შემთხვევებში რეკომენდებულია მკურნალობისთვის გამოყენებული იქნას ოსელტამივირი ან ზანამივირი. ეს პრეპარატები ამცირებენ ორგანიზმში ვირუსის გამრავლებას. თუ ავად ხართ, ანტივირუსულმა პრეპარატებმა შეიძლება შეამცირონ დაავადების სიმპტომების გამოხატულება ან დააჩქარონ გამოჯანმრთელება. ასევე შეიძლება თავიდან ავაცილოთ დაავადების შემდგომი სერიოზული გართულებები. ანტივირუსული პრეპარატების გამოყენების პრიორიტეტია მძიმედ მიმდინარე შემთხვევების მკურნალობა.

## რამდენი ხანია დაავადებული ადამიანი გადამდები?

იმდენივე ხანს, როგორც სეზონური გრიპის დროს. ადამიანი გადამდებია სიმპტომების გამოვლენამდე 1 და გამოვლენის შემდეგ 7 დღე. პატარა ბავშვები გადამდები არიან უფრო ხანგრძლივად.

## რომელი ზედაპირები განიხილება როგორც დაინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის მატარებლები?

გამომწვევი შეიძლება გავრცელდეს, თუ ადამიანი ხელით შეეხება გამომწვევებით დაბინძურებულ ზედაპირს და შემდეგ იმავე, დაუბანელი ხელით, საკუთარ თვალებს, ცხვირსა და პირს მიდამოს. დაავადებულის ხველისა და ცემინებისას გამოტყორ-

ცნილი წვეთებით ხდება გამომწვევის გავრცელება ჰაერში 1 მეტრის მანძილზე, რაც ჯანმრთელთა დაავადების მიზეზი ხდება.

## როგორ დავიცვათ თავი დაავადებისგან?

ხველების და ცემინების დროს მიიფარეთ ცხვირსახოცი. გამოყენების შემდეგ ცხვირსახოცი გადაადგეთ; რაც შეიძლება ხშირად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით, განსაკუთრებით ხველისა და ცემინების შემდეგ. ეფექტურია ალკოჰოლის შემცველი ხელსაწმენდების გამოყენება; არ შეეხეთ ხელებით თვალებს, პირს, ცხვირს. გამომწვევი შეიძლება ასე გავრცელდეს; მოერიდეთ დაავადებულ ადამიანთან ახლო კონტაქტს; დარჩით სახლში სიმპტომების გამოვლენიდან 7 დღის განმავლობაში ან სიმპტომების გაქრობიდან 24 საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში. ეს დაიცავს სხვა ადამიანებს დაავადებისგან და შეზღუდავს ვირუსის შემდგომ გავრცელებას.

## სხვა მნიშვნელოვანი ქმედებები, რომლებიც შეიძლება თქვენ განახორციელოთ:

მისდით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ორგანოთა რეკომენდაციებს შეზღუდვის ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორცაა საზოგადოებრივი დისტანცირების ღონისძიებები და სხვა.

## რანდენ ხანს ძლებს ახალი პანდემიური გრიპი (H1N1) 2009 გამომწვევი ზედაპირებზე?

როგორც კვლევებით დადგინდა, ადამიანის დაავადების უნარს ზედაპირებზე მოხვედრილი გამომწვევი ინარჩუნებს 2-8 საათის განმავლობაში.

## როგორ დავიბანოთ კარგად ხელები?

საჭიროა ხელების გასაბუნა და წყლით ჩამობანა; სასურველია ერთჯერადი ქაღალდის ხელსახოცის ხმარება, ხოლო მისი არქონის შემთხვევაში – ინდივიდუალური სუფთა ნაჭრების გამოყენება, ყოველი გამოყენების შემდეგ ნაჭრის ხელსახოცი თავსდება სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერში ან ერთჯერადი გამოყენების ცელფონის პარკში, რომელიც ავსების შემდეგ ექვემდებარება განადგურებას; ხელების დასაბანად უმჯობესია თხევადი საპნის გამოყენება; სასურველია ხელის სპირტის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების გამოყენება.

## რა კლავს ახალი პანდემიური გრიპი (H1N1) 2009 გამომწვევს?

ვირუსი ინაქტივირდება მაღალი ტემპერატურის - 700ნ ზემოქმედებით;

ქიმიური ნივთიერებებიდან ვირუსის გამანადგურებელი თვისებებით გამოირჩევა ქლორი, ჰიდროგენპეროქსიდი, დეტერგენტები ანუ ანტისეპტიკური საპონი და სარეცხი საშუალებები, იოდიფორი, სპირტის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებები.

## როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ავად ხართ?

თუ გაქვთ გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომები, ანუ მაღალი ტემპერატურა, ხველა, მტკრევის შეგრძნება სხეულში, ყელის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება ან დიარეა, დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან სამედიცინო მომსახურების სხვა მიმწოდებელს და მიიღეთ სათანადო მოსახურება. მისდით ექიმის დანიშნულებას და გაითვალისწინეთ ის რჩევები, რომლებსაც მიიღებთ.

## ბავშვებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საგანგაშო სიმპტომებია:

- გახშირებული ან გართულებული სუნთქვა;
- კანის სილურჯე;
- სითხის სმის შემცირება;
- მივარდნილობა, არაკონტაქტურობა;
- გალიზიანებადობა;
- გრიპისმაგვარი სიმპტომების გაუმჯობესების მიუხედავად, მაღალი სიცხე და ხველა;
- ცხელება და გამონაყარი.

## მოზარდებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საგანგაშო სიმპტომებია:

- გახშირებული ან გართულებული სუნთქვა;
- ტკივილის ან სიმძიმის შეგრძნება გულმკერდის ან მუცლის არეში;
- უცარი თავბრუსხვევა;
- მოუსვენრობა, შფოთვა;
- მძიმე ან შეუჩერებელი პირღებინება.

## როგორ მოეუაროთ ავადმყოფს სახლის პირობებში?

ავადმყოფი უნდა იყოს განცალკევებით ოჯახის სხვა წევრებისგან, სულ მცირე 1 მეტრის მოშორებით; ავადმყოფის მოვლის დროს ცხვირზე და პირზე აიფარეთ ნიღაბი. ამ მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც კომერციული, ასევე ის ნიღაბი, რომელსაც თავად გააკეთებთ ხელმისაწვდომი ქსოვილისგან, მაგ. ოთხფენოვანი დოლბანდისგან. გამოყენების შემდეგ ნიღაბი უნდა გადაიყაროს ან სათანადოდ გასუფთავდეს (გაირეცხოს, გაუთოვდეს); ავადმყოფთან ყოველი კონტაქტის შემდეგ კარგად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით; ხშირად განაივთ ის ოთახი, სადაც წევს ავადმყოფი; გამოიყენეთ საოჯახო ღებინვა-დეზინფექციანტიანი გამწმენდი საშუალებები, რათა თქვენს ირგვლივ არსებული გარემო სუფთა იყოს.

## იმუნიზაციის კალენდარი

აბაი/ვაქცინა	1 დღე	2 თვე	3 თვე	4 თვე	12 თვე	18 თვე	5 წელი	14 წელი
BCG	BCG							
OPV		ნუსანონს პანსა	ნუსანონს პანსა	ნუსანონს პანსა		ნუსანონს პანსა	OPV5	
DTP								
Hep B								
Hib								
MMR					MMR1		MMR2	
DT							DT	
Td								Td

სიხარული გრუნდება, ახალ აღმოჩენებთან ერთად...  
საუკეთესო პრევენციული პეპტიდების სიხარული და გიჟილის ღრის



# GAVISCON<sup>®</sup> FORTE

**ეფექტური რეფლუქსიის საინალმდებო პრეპარატი**

**ფორმა: 12 ნელზე უფრო ახის ბეჭედი და მოზრდილი — 5-10 მგ, საკვების მიღების შემდეგ და ძილის წინ. მაქსიმალური დოზა დღე-ღამეში - 40 მგ. წინააღმდეგობა: ფოსფორის სიმბიოტიკური მკურნალობა, რომელიც დაკავშირებულია კუჭის წინააღმდეგობის შემცირებასთან და გასტროლოგიურ რეფლუქსთან ცუდმართვა, წყვეტის მოცილება, საკვების მიღების შემდეგ შეცვლის არეზიზის მკურნალობა, მისი შორის ირრულობის ბურობა.**

**უნიკალური ფიზიკური მოქმედების მექანიზმი**

- სწრაფად რეაგირებს კუჭის მეფავე შემადგენლობასთან, რის შედეგადაც წარმოქმნის დამცავ ალგინატურ ფენას, რომელიც ხელს უშლის გასტროეზოფაგური რეფლუქსის წარმოქმნას.
- არ არღვევს საჭმლის მონელების პროცესს.

**სწრაფი და ხანგრძლივი მოქმედება**

- აღინიშნება მდგომარეობის გაუმჯობესება პრეპარატის მიღებიდან 5 წუთის შემდეგ.
- ახასიათებს ხანგრძლივი დამცავი მოქმედება - მინიმუმ 4 საათი.
- გამოიყენება ორსულობის პერიოდში.



ნატურალური კომპლენი  
ვიტამინები  
მინერალური  
აზინოჰაჰვიტი

# აპივიტი

60 ტაბლეტი

**აპივიტი!**  
შეაქვას თქვენი ვიტამინების, მინერალებისა და აზინოჰაჰვიტის დანაკლისს, გააძლიერებს ორგანიზმის გრძელს უნარს სხვადასხვა დაავადებისა და ვირუსების მიმართ.

შეიძინეთ ნებისმიერ აფთიაქში!  
მწარმოებელი შპს „ბიოფარმი-L“

გამოცემის ვებგვერდი: [www.apyviti.com](http://www.apyviti.com)  
გვერდი: [www.apyviti.com](http://www.apyviti.com)  
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ უფასო

## აპივიტი

საყოველთაოდ ცნობილი, ქართული, უნიკალური ფუტკრის ნატურალური პროდუქტი

### აპივიტი!

შეაქვას თქვენი ვიტამინების, მინერალებისა და აზინოჰაჰვიტის დანაკლისს, გააძლიერებს ორგანიზმის გრძელს უნარს სხვადასხვა დაავადებისა და ვირუსების მიმართ.

პრეპარატი რეკომენდებულია ასევე ბავშვებისა, ორსული და მეძუძური ქალებისთვის. გინდათ, გამოიზამთროთ გრიპის გარეშე?! დაიცვათ ორგანიზმი ვირუსების შემოტევისაგან?! მიიღეთ აპივიტი პროფილაქტიკისთვის!

**რეკომენდებულია ევროპის ქვეყნების საპარტიკულს ეროვნული საყვირის ჯანმრთელობისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ.**


Science and Technology Entrepreneurship Program (STEP)  
VENTURE CONFERENCE, Tbilisi, 4 December, 2009

**"Production of essential amino acid rich natural energetic beverage "Iveriuli-Phyto" and its effectiveness in sportsmen"**

Social Pediatrics Protection Fund  
George Chakhunashvili Ltd „Nectar G“  
Gela Tskhvediasvili



საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია  
Georgian Children's Cardiologists Association



SOS!

დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალბავშვებსა და მოზარდებს

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, პიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია - წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონილეტომის 2,5 თვის შემდეგ კვლევა გულისხილძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამართვ მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,  
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი



- ხარხაშლის გამრუდების პროფილაქტიკისათვის;
- დაღლილობის მოხსნისათვის;
- რაკომანდირებულია ყველასათვის 6-დან 25 წლამდე.

ესპანდერის დანიშნულება: სკოლამდელი ბავშვებისათვის ხერხემლის პროფილაქტიკისათვის; დაღლილობის მოსახსნელად.

ჩაცმის წესი

1. ესპანდერი უნდა იყოს მორგებული თეთრეულის ზემოთ.
2. მარყუჟებში ხელების გაყრის შემდეგ გაასწორეთ რეზინები მხრებზე.
3. ესპანდერი ითვლება სწორედ მორგებულად, თუ ჩაცმის შემდეგ მომხმარებელი გრძნობს რეზინის დაჭიმვის ძალას.

ექსპლუატაციის ვადა 6 თვეა. ესპანდერის ტარების დროს თქვენ დაზღვეული ხართ მოხრილობისგან.

ესპანდერი მიზანშეწონილია ბავშვებისათვის 6-14 წლამდე.

მოზრდილებისათვის, იმ პიროვნებისათვის, ვისი სამსახურიც მუდომიარე ხასიათს ატარებს.

ესპანდერი მუდმივად აიძულებს ადამიანს გაიმართოს ხერხემალში და გაშალოს მხრები.

ესპანდერი მოკლე ხანში გახდება თქვენი განუყრელი მეგობარი. (დამზადებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შენარმეთა დასაქმების კავშირის“ მიერ.)

**G I C**

საქართველო-გერმანიის ერთობლივი შპს GIC არის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ზინეს საბჭოს წევრი 2005 წლის აპრილიდან. აღნიშნული კომპანიის საქმიანობის მიმართულებებია:

**სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების დამზადება და დისტრიბუცია**

- სადერატიზაციო;
- სადეზინფექციო;
- სადეზინსექციო;
- სანარმოო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო.

მთავარი რედაქტორი - გ.ჩახუნაშვილი  
მრედაქტორი - თ. მიქელაძე, გ.ქენელაძე  
სარედაქციო საბჭო: მ. ნანობაშვილი, ნ. ბადრაშვილი, ნ. თოფურაძე, გ. არველაძე, ქ. ნეფარიძე, ნ. მარინაშვილი, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი

სკორტსმენებისათვის აუცილებელია:

**„ ი ვ ი რ ი უ ლ ი “**  
**ნატურალური, გამაგნევაბელი, გაზიანი სასმელი**

უალკოჰოლო, ვიტამინიზირებული, გაზიანი სასმელი „ივერიული“ დამზადებულია უნიკალური თვისებების მქონე ქართული (კავკასიური) ფუტკრის პროდუქტებით და ყურძნის ნაყენის გამოყენებით. სასმელში ობტინალური თანაფარდობითაა შერწყმული ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთიერებები - ამინომჟავები, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები.

ორიგინალური რეცეპტურა, რომელიც ეფუძნება ქართულ ხალხურ სამედიცინო სიბრძნეს, განაპირობებს სასმელის მაღალ ბიოლოგიურ ღირებულებას და შენაჩვის ვადის გახანგრძლივებას კონსერვანტების გარეშე. სასმელის მდგრადობა შენარმუნებულია ნატურალური მცენარეული ნივთიერებით.

სასმელი „ივერიული“ გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი, უცხოური და ადგილობრივი მსგავსი პროდუქტებისაგან განსხვავებით არ შეიცავს: ესენციებს, კონსერვანტებს, საღებავებს, შაქრის შემცველს.

სასმელის შემადგენლობა უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმში, ამინომჟავებისა და ვიტამინების დეფიციტის შევსებას. ხსნის ფიზიკურ და გონებრივ დაღლილობას. აუმჯობესებს გულის მუშაობას, კვებავს ტვინს, ანესრიგებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს, მოზარდებში ზღვს უწყობს ზრდის პროცესის გააქტიურებას. სპორტიანი სასმელების მიღების შემდეგ ორგანიზმში ხდება ალკოჰოლის დეზინტოქსიკაცია. ამინომჟავებით და ვიტამინებით გაზაფხულდება სასმელმა „ივერიულმა“ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სპორტსმენთა მოზადების სფეროში. სპორტსმენთა მიერ ამ გამამხნეველი სასმელის სისტემატურად მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნერვისა და ვარჯიშის დამთავრების შემდეგ. ორგანიზმში აღდგენილი პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

„ივერიული“ რეკომენდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის და სპორტის დეპარტამენტის მიერ.

**ერთერთი ქართული ქართული პრეპარატი**

**GA-40**

ANTICANCEROGENIC AND IMMUNOTHERAPEUTIC AGENT

GA-40 წარმოადგენს პოლიპეპტიდების კომპლექსს რომელიც მიღებულია გეოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მცენარეული ნედლეულიდან.

GA-40 გამოირჩევა:

- \* ორგანიზმზე უსაფრთხო მოქმედებით
- \* ორგანიზმში არსებულ სიმსივნურ წარმონაქმნებზე ორმაგი მოქმედებით: პირდაპირ - მანეროზირებული და არა პირდაპირი - ანტისიმსივნური იმუნიტეტის აქტივაციით.

\* იმუნოკორექციის უნარით, რაც განსაზღვრავს მის ფართო სპექტრით წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ.

რეგისტრაცია MP N003008 პატენტი P 2256

**იუნორკაბილიტაზიისათვის საკონსულტაციოდ შეგიძლიათ მივართოთ:**

<b>ბავშვთათვის</b>	<b>მოზრდილთათვის</b>
თ.ს.ს.უ გ. ფვანას სახ. პედიატრიული კლინიკის იმუნოგენეტიკური პროგნოზირების ლაბორატორია ტელ: 52-80-74	საკონსულტაციო-სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი. ტელ.: 877 43-44-94

მისამართი: ლუბლიანას ქ. 21  
ტელ.: 52-80-74  
www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება